# ახალი შირაკი
# Ахали Шираки

საქართველოს კომუნისტური პარტიის წითელწყაროს რაიკომისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.

Орган Цителцкаройского райкома Коммунистической партии Грузии и райсовета депутатов трудящихся.

გამოცემის მე-19 წელი
Год издания 19-й

№ 38 (1.604)
ოთხშაბათი
СРЕДА
28
მარტი
МАРТА

ფასი
Цена 15 კაპ.
коп.


## დღეს ნომერში:


— ბრძანებულება (1-ლი გვერდი).
— სოფლის მეურნეობას—ახალი ტექნიკა (1-ლი გვერდი).
— პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
— სერგეი მირონის-ძე კიროვი (მე-2 გვერდი).
— რაიონის მოწინავე მეცხოველეები შეტანილი არიან რესპუბლიკურ საპატიო წიგნში (მე-2 გვერდი).
— ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას (მე-3 გვერდი).
— მეცნიერების ახალი აყვავებისათვის (მე-3 გვერდი).
— М. П. Мусоргский (4-стр.).


## გავაძლიეროთ მტს-ის სამონტაჟო ჯგუფის მუშაობა, ავამაღლოთ მეცხოველეობის ფერმის მექანიზაციის დონე

რაიონის კოლმეურნეობებისა და ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის მუშაკებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში, მაგრამ ეს მიღწევები საქმეში მცირეა იმ ამოცანების შესრულებასთან შედარებით, რაც სოციალისტური მეურნეობის მეცხოველეობის მუშაკთა წინაშე დააყენა პარტიის XX ყრილობამ.

გასულ წელს გამარჯვების მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა თვითეულ საფურაჯე ერთეულზე 6 ტონა სილოსი დაამზადეს და ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე აწარმოეს 10,8 ცენტნერი ხორცი, 8,8—რძე, 2,1—მატყლი, აგრეთვე 3.700 ცალი კვერცხი, მაგრამ ჯერ კიდევ მაღალია პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, სოფელ არხილოს კოლმეურნეობაში თვითეული ცენტნერი რძის წარმოებაზე დაიხარჯა 9,49 შრომადღე, მატყლის წარმოებაზე — 11,3, ხორცისა—12,7, ხოლო ღორის ხორცის წარმოებაზე 53,2 შრომადღე.

მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების ასეთი მაღალი დონე იმით აიხსნება, რომ რაიონის კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია. გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა 12 კულტურული საძროხე და 7 საღორე ააშენეს, მაგრამ მექანიზაცია მოეწყო მხოლოდ 5 ბინაში და ისიც სანახევროდ.

მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის დაბალი დონე გამოწვეულია იმით, რომ მტს-ები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ფერმების სამექანიზაციო ჯგუფების შექმნისა და მათი ნორმალურად მუშაობის საქმეს. ცნობილია, რომ ქედის მტს-ი შეიარაღებულია საუკეთესო ტექნიკით და ჰყავს მექანიზატორთა გამოცდილი კადრები, მაგრამ აქ დღემდე ვერ შესძლეს შეექმნათ სამონტაჟო ჯგუფი, მოემზადებინათ ის და გაეგზავნა მომსახურების კოლმეურნეობების ფერმებში სამექანიზაციო სამუშაოების ჩასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ საბათლოს კოლმეურნეობამ დიდი ხანია შეიძინა ავტომატური წყალსამელებისა და საჰაერო კიდული გზის მოწყობილობა, დღემდე მტს-მა ვერ შესძლო მისი დამონტაჟება.

მსგავსი მდგომარეობაა სხვა მტს-შიც. პარტიის XX ყრილობაზე ამხანაგი ხრუშჩოვი ამბობდა: „მემინდვრეობაში უმნიშვნელოვანეს სამუშაოთა მექანიზაცია დასრულებულია. ეს საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვებაა. ახლა მთელი სიგრძე-სიგანით დაისახა ამოცანა — უმოკლეს ვადაში ცალკეულ სამუშაოთა მექანიზაციიდან გადავიდეთ მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მათ შორის მეცხოველეობის კომპლექსურ მექანიზაციაზე“. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა ნიშნავს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების სიუხვეს, მის სიიაფეს.

დროა თავი დავაღწიოთ ჩამორჩენას მუშაობაში, ყველა მტს-ში უნდა შეიქმნას ფერმების სამექანიზაციო ჯგუფი, საქმის ცოდნით ვუხელმძღვანელოთ მათ და წარმატებით მოვაწყოთ ბრძოლა პროდუქტების წარმოების გადიდებისა და თვითღირებულების მნიშვნელოვნად შემცირებისათვის.

ამ საქმის ინიციატივას სათავეში უნდა ჩაუდგნენ მტს-ებისა და კოლმეურნეობების პარტიული, სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობა.

## ახალი ავტომობილები

ქალაქ გორკის ავტომობილმშენებელთა კოლექტივი ემზადება ახალი ავტომობილის „ვოლგის“ მასობრივი წარმოებისათვის, პირველი რამდენიმე ათასი ეს ავტომანქანა გამოშვებული იქნება 1956 წელს. ავტოქარხნელები აპრილში დაიწყებენ „გაზ—51—ა“ მარკის მოდერნიზებული ავტომობილის გამოშვებას, რომელსაც ექნება დაგრძელებული პლატფორმა და ცენტრალური მუხრუჭები. მიმდინარე წელს გამოუშვებენ საცდელ სატვირთო მანქანების პირველ პარტიას. ამ მანქანებს აქვთ წინკამერულანთება. ამავე ჩირაღდნული დროს კონსტრუქტორები ქმნიან ახალი სატვირთო ავტომობილების ნიმუშებს, აგრეთვე „ზიმის“ ტიპის ახალ კონფორტულ მსუბუქ ავტომობილს.

(საქდესი).

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ხანგრძლივობის გადიდების შესახებ

დედისა და ბავშვის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1956 წლის 1 აპრილიდან ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება გადიდდეს 77-დან 112 კალენდარულ დღემდე და დაწესდეს შვებულების ხანგრძლივობა 56 დღე მშობიარობამდე და 56 დღე მშობიარობის შემდეგ, ამასთან ამ პერიოდში გაიცეს დახმარება დადგენილი წესით.

არანორმალური მშობიარობის ან 2 და მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში მშობიარობის შემდეგ შვებულების ხანგრძლივობა დაწესდეს 70 კალენდარული დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი,**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი,**

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 26 მარტი.

## სოფლის მეურნეობას—ახალი ტექნიკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშაკთა წინაშე დააყენეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უახლესი ტექნიკით შემდგომი აღჭურვის საპატიო ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება სოფლის მეურნეობის პროდუქციის [illegible] ალური დონის [illegible] ერთი გადამწყვეტი პირობა იქნება.

დასახულია ტრაქტორების გამოშვება სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებში 1960 წელს 1955 წელთან შედარებით გადიდდეს ერთიორად, მარცვლეულის კომბაინებისა—ერთისამად, სასოფლო-სამეურნეო მანქანების საერთო წარმოება—ერთიორად და მეტად.

დიდი ყურადღება ექცევა თვითმავალი შასის, ე. ი ისეთი მანქანების გამოშვებას, რომლებსაც აქვთ გაგრძელებული ჩარჩო, რომელზეც დაეკიდება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი — გუთანი, კულტივატორი, სათესი მანქანა და სხვა. დასახულია უახლოეს 2-3 წელიწადში შემუშავდეს და დაინერგოს სულ ცოტა 100 კონსტრუქციის დასაკიდი და ნახევრად დასაკიდი იარაღი. ნიადაგდამმუშავებელი მანქანების გამოყენება, რომელსაც ტრაქტორისტები ჰიდროსისტემის დახმარებით მართავენ, თითქმის სავსებით ათავისუფლებს მიმბმელებს.

[illegible] „ცელინა“ [illegible] „დტ—54“ [illegible] მარკის ტრაქტორისა და გამოუშვებენ იმავე სიმძლავრის ძრავიან მანქანას, რომლის წონა შემცირებულია ერთიორად დასაკიდი და მისაბმელი იარაღებით ჰიდრავლიკური სისტემის მართვით. „ბელარუსიის“ ტიპის ახალი მოდელის ტრაქტორის ძრავას სიმძლავრე მიაღწევს 45-50 ცხენის ძალას ნაცვლად 37 ცხენის ძალისა, ხოლო მისი წონა 3.200 კილოგრამიდან შემცირდება 2.600 კილოგრამამდე.

დასახულია ლონისძიებანი, რომლებიც უკვე წელს უზრუნველყოფენ იმ მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს წარმოების მკვეთრ გადიდებას, რომლებიც საჭიროა პურეულის ცალ-ცალკე აღებისათვის. როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა დაიწყებს „სტალინეც—8“ მარკის ახალი მარცვლეულის კომბაინის გამოშვებას, რომლის წარმადობა „სტალინეც—6“ მარკის კომბაინთან შედარებით გადიდებულია ერთნახევარჯერ.

ტაგანროგის ქარხანაში იწყება მუშაობა ჰიდრავლიკური მოწყობილობით [illegible] აგრეთვე სიმკალი მანქანების, ამ [illegible] წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება.

სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი სათესი მანქანების გამოშვება 1956 წელს გადიდდება ერთიორად და მეტად, სიმინდის მოსავლის ასაღები კომბაინებისა 8-ჯერ.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშაკებმა შექმნეს კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი სათესი მანქანები, კულტივატორები, კარტოფილსათხრელი კომბაინი მსუბუქი და საშუალო ნიადაგებისათვის. ამჟამად წარმოებს მუშაობა კარტოფილსათხრელი კომბაინის დასამზადებლად მძიმე ნიადაგებისათვის.

(საქდესი).

## დამონტაჟებულია კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე ჰიდროაგრეგატი

კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლებმა, რომელნიც მონაწილეობენ შეჯიბრებაში იმისათვის, რომ 1956 წლის პირველ ნახევარში დაამთავრონ მთელი სამშენებლო-სამონტაჟო მოსამზადებელი სამუშაოები და აამუშაონ ჰიდროელექტროსადგური, ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს.

24 მარტს დამთავრდა მეოთხე ჰიდროაგრეგატის მონტაჟი, რომლის გულმოდგინე შემოწმების შემდეგ დაიწყო მისი გამოცდა უქმი სვლით.

მემონტაჟეთა ბრიგადებმა, რომელნიც საპირველმაისო ვახტზე დადგნენ, ვალდებულება იკისრეს მეხუთე ჰიდროაგრეგატი გადასცენ საექსპლოატაციოდ მაისში, ხოლო მეექვსე—ივნისში.

(საქდესი).

## მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების I კვარტლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა 20 მარტის მდგომარეობით

(გეგმის შესრულება პროცენტებში)

| კოლმეურნეობათა დასახელება | ხორცის | მათ შორის ღორის ხორცის | რძის | კვერცხის |
|---|---|---|---|---|
| 1. ჯაფარიძის | 523,7 | 469,9 | 748,9 | 311,5 |
| 2. დაბა ორჯონიკიძის | 103,2 | 360,8 | 145,8 | 404,6 |
| 3. წითელწყაროს მოლოტოვის | 77,3 | 179,5 | 187,9 | 572,8 |
| 4. " ლენინის | 68,8 | 145,7 | 364,7 | 278,2 |
| სულ წითლის მტს-ში | 196,1 | 295,2 | 359,5 | 389,3 |
| 5. გამარჯვების ჟდანოვის | 56,8 | 158,9 | 268 | 412 |
| 6. ოზაანის მალენკოვის | 36,9 | 42 | 80,2 | 95,7 |
| 7. მირზაანის მე-18 პარტყრილობის | 90,8 | 91,3 | 127,5 | 516 |
| 8. არბოშიკის კალინინის | 61,2 | 86,9 | 124,2 | 411,4 |
| სულ გამარჯვების მტს-ში | 61,2 | 90,4 | 138,3 | 356,2 |
| 9. ზემო მაჩხაანის სტალინის სახ. | 266 | 79,6 | 379,2 | 144,6 |
| 10. ზემო ქედის სტალინის სახ. | 43,3 | 105,4 | 114,3 | 293,5 |
| სულ შირაქის მტს-ში | 182 | 89,3 | 279 | 220,8 |
| 11. არხილოს კიროვის | 116,6 | 415,5 | 121,1 | 140,7 |
| 12. ქვემო ქედის | 52,4 | 184,5 | 143 | 278 |
| 13. საბათლოს | 47 | 136,1 | 136,5 | 552,1 |
| სულ ქედის მტს-ში | 73,1 | 280,7 | 135,1 | 260,5 |
| სულ რაიონში | 129,1 | 165,4 | 228,9 | 310 |

## პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

# გააუმჯობესოთ კადრებთან მუშაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა პარტიული ორგანიზაციები. კომუნისტების ავანგარდული როლის შემდგომი გაძლიერება — აი რა არის ახლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა. მათ ძირეულად უნდა გარდაქმნან კადრებთან მუშაობა, უნდა გააძლიერონ პარტიულ-პოლიტიკური, პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობა, რაზედაც ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა.

ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და მისი ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, დღითიდღე აუმჯობესებენ პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობას, რაზმავენ მოსახლეობას პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, დაუცხრომლად აუმჯობესებენ კადრებთან მუშაობას, ეხმარებიან მათ მიცემულ დავალებათა შესრულების სწორ ორგანიზაციაში.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, არ შეიძლება [illegible] რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ დაბალია ორგანიზაციული მ უ შ ა ო ბ ი ს დონე, ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების აღზრდას, რაც უექველია უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობის თუ მტს-ის სამეურნეო მაჩვენებლებზე.

წითელწყაროს მოლოტოვის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს დაახლოებით თანაბარი ბაზები გააჩნიათ სოფლის მეურნეობისათვის, მაგრამ მათი სამეურნეო შედეგები თვალნათლივ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე, მაგალითად, წელს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მხოლოდ 262 კილოგრამი რძეა მიღებული მაშინ, როცა ორჯონიკიძელმა მეცხოველეებმა უკვე 435 კილოგრამს გადააჭარბეს. ისმება კითხვა—რით არის გამოწვეული სამეურნეო შედეგების ასეთი განსხვავება? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მეცხოველეობის საკითხებს, სუსტად მუშაობს ფერმის კადრებთან.

მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი რაიონის მთელრიგ კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ზრდის საქმეშიც.

ეს ფაქტები ნათლად მეტყველებენ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ავ-კარგზე, იმაზე რომ ბევრგან პარტიული ორგანიზაციების მდივნები საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ წამყვან სამეურნეო დარგებს, არ ზრუნავენ განამტკიცონ მეურნეობის ესა თუ [illegible] საქმის მცოდნე კადრებით, ვაწინაუროთ ქალები, სოფლის მოწინავე ახალგაზრდები, აღვზარდოთ ი ს ი ნ ი პრაქტიკულ საქმიანობაში, შევაიარაღოთ თეორიული ცოდნით—ასეთია ახლა პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა. მაგრამ სამწუხაროდ კადრების შერჩევის საქმეში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა კადრების შერჩევისას ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ უთანხმდებიან პარტიულ ორგანიზაციებს, არ ამოწმებენ მისაღებ პირებს და ხელდებით ანდობენ მათ ამა თუ იმ სამუშაოს. ასე მოუვიდა კომუნალურ განყოფილებას, როცა შეშის დამამზადებლად დ. ლაპიაშვილი მიიღო. ვერ გაამართლა რა მინდობილი საქმე, შემოწმებისას მას 421 კუბმეტრი შეშის დანაკლისი აღმოაჩნდა; სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელობა ახალგაზრდა კოლმეურნეს გ. ტოკლიკიშვილს დააკისრა. კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ გაუწიეს სათანადო ხელმძღვანელობა, დახმარება ახალგაზრდა ბრიგადირს და იმის ნაცვლად, რომ, აღეზარდათ, რამდენიმე თვის შემდეგ ბრიგადირობიდან გაანთავისუფლეს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და წარმოებადაწესებულების ხელმძღვანელთა გადაუდებელი ამოცანაა გადაჭრით გააუმჯობესონ კადრებთან მუშაობის საქმე. შეარჩიონ ამ საქმისათვის მომზადებულ ადამიანებს, დაეხმარონ მათ დაძლიონ მუშაობაში არსებული წინააღმდეგობანი.

**ვ. ტუხაშვილი,**
პარტიის წითელწყაროს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

# სერგეი მირონის-ძე კიროვი
## (დაბადებიდან 70 წლისთავის გამო)



ყობს წრეებს. 1904 წელს იგი შედის ტომსკის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბოლშევიკურ ჯგუფში და მტკიცედ ადგება პროფესიონალური რევოლუციონერის გზას.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში კიროვი მოყალიბდა როგორც გამოცდილი ორგანიზატორი, მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი.

პირველი იმპერიალისტური ომის წლებში კიროვი უნდობლად ამჟღავნებდა მეფის თვითმპყრობელურ პოლიტიკას, ესერებისა და მენშევიკების გამცემლურ როლს, იცავდა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლენინურ ლოზუნგს.

ს. მ. კიროვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებაში, იყო საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის დელეგატი. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა [illegible] ფერგის ოლქში.

[illegible] ნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო 1926 წლიდან იგი კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის მდივანია. კიროვის ხელმძღვანელობით ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციამ მოკლე დროში გაანადგურა პარტიისა და ხალხის საზიზღარი მტრები ტროცკისტ-ზინოვიეველები.

პარტიის XII ყრილობიდან (1923 წელი) კიროვი არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1926 წელს იგი არჩეულ იქნა პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, ხოლო 1930 წლიდან პოლიტბიუროს წევრად.

1934 წელს კიროვი არჩეულ იქნა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ამავე წლის პირველ დეკემბერს ლენინგრადში (სმოლნში) ხალხის მტრების ტროცკის, ზინოვიევის და კამენევის დავალებით კიროვი ვერაგულად იქნა მოკლული.

კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის ს. მ. კიროვის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის გულში.

**თ. პოპიაშვილი.**

# რაიონის მოწინავე მეცხოველეები შეტანილი არიან რესპუბლიკურ საპატიო წიგნში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის 1956 წლის 2 მარტის ბრძანებით 1955 წელში საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ მაღალი მაჩვენებლებისათვის რესპუბლიკურ საპატიო წიგნში წითელწყაროს რაიონიდან შეტანილი არიან:

**სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობიდან**

**ურჩიაშვილი ნიკოლოზ სტეფანეს-ძე** — კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, **ბენაშვილი ბიჭიკო გიორგის-ძე** — მეძროხეობის ფერმის გამგე, რომელთაც თვითეულ საფურაჟე ძროხიდან 1.510 კილოგრამი რძის მოწველა უზრუნველყვეს და გეგმა შეასრულეს 151 პროცენტით.

**დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობიდან**

**დარჩიაშვილი ანდრო გიორგის-ძე** — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ლაპიაშვილი ქეტო ივანეს-ძე** — მეძროხეობის ფერმის გამგე, რომელთაც თვითეულ საფურაჟე ძროხაზე უზრუნველყვეს 1.499 კილოგრამი რძის მიღება და გეგმა შეასრულეს 230,6 პროცენტით.

**სოფელ წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან**

**ხოლოდნოვი ვასილი პავლეს-ძე**—მეძროხეობის ფერმის გამგე, რომელმაც უზრუნველყო საფურაჟე ძროხაზე 899 კილოგრამი რძის მიღება და გეგმა შეასრულა 142,9 პროცენტით.

**სოფელ წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან**

**არჟანენკო ვასილი დავითის-ძე** —მეძროხეობის ფერმის გამგე, რომელმაც თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 926 კილოგრამი რძის მოწველა უზრუნველყო და გეგმა შეასრულა 148,2 პროცენტით.

**არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობიდან**

**ბალაშვილი ვლადიმერ ილიას-ძე**—მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირი, რომელმაც თვითეულ ცხვარზე გაპარსა 3,6 კილოგრამი მატყლი და გეგმა 150 პროცენტით შეასრულა; **ბალაშვილი არჩილ მიხეს-ძე**— უფროსი მწყემსი, რომელმაც თვითეულ ცხვარზე 3,38 კილოგრამი მატყლი გაპარსა და გეგმა 140 პროცენტით გაანაღდა; **ბატიაშვილი დავით გიორგის-ძე**— მწყემსი, რომელმაც თვითეულ ცხვარზე გაპარსა 3,6 კილოგრამი მატყლი და გეგმა 150 პროცენტით შეასრულა.

**მირზაანის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობიდან**

**კორახაშვილი იორამ მიხეილის-ძე**—მეცხვარეობის ფერმის გამგე, რომელმაც უზრუნველყო თვითეულ ცხვარზე 3,8 კილოგრამი მატყლის მიღება და გეგმა 158,3 პროცენტით შეასრულა, **ფოცხვერაშვილი მიხეილ იოველის-ძე**—ბრიგადირი, რომელმაც უზრუნველყო თვითეულ ცხვარზე 3,9 კილოგრამი მატყლის მიღება და გეგმა 162,5 პროცენტით გაანაღდა; **მოხევე დიმიტრი ზაქარიას-ძე**—მწყემსი, რომელმაც შესძლო თვითეულ ცხვარზე 3,9 კილოგრამი მატყლის მიღება და გეგმის 162,5 პროცენტით შესრულება; **ბიკაშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე** — მწყემსი, რომელმაც უზრუნველყო 3,9 კილოგრამი მატყლის მიღება თვითეულ ცხვარზე და გეგმა შეასრულა 162,5 პროცენტით; **ხარაშვილი მოსე სოლომონის-ძე** — ბრიგადირი, რომელმაც თვითეულ ცხვარზე გაპარსა 3,7 კილოგრამი და გეგმა შეასრულა 154,2 პროცენტით; **გონაშვილი ქიტესა ბასილას-ძე** – მწყემსი, რომელმაც თვითეულ ცხვარზე 3,7 კილოგრამი გაპარსა და გეგმა 154,2 პროცენტით შეასრულა; **ხუციშვილი ფარსადანი ბესარიონის-ძე**—მწყემსი, რომელმაც თვითეულ ცხვარზე გაპარსა 3,7 კილოგრამი მატყლი და გეგმა შეასრულა 154,2 პროცენტით.

**სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობიდან**

**ბიკაშვილი შალვა პართენის-ძე**—მეცხვარეობის ფერმის გამგე, რომელმაც უზრუნველყო თვითეულ ცხვარზე 3,3 კილოგრამი მატყლის მიღება და გეგმა შეასრულა 137,5 პროცენტით; **ივანიძე გიორგი სტეფანეს-ძე** — ბრიგადირი, რომელმაც უზრუნველყო თვითეულ ცხვარზე 3,9 კილოგრამი მატყლის გაპარსვა და გეგმა შეასრულა 162,5 პროცენტით; **გონაშვილი ილია გიორგის-ძე**—მწყემსი, რომელმაც თვითეულ ცხვარზე გაპარსა 3,9 კილოგრამი მატყლი და გეგმა შეასრულა 162,5 პროცენტით.

# ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას

## სწრაფად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი

...ოველ არხილოს კალოს კო- ...ლის სახელობის კოლმეურ- ...ბის მემინდვრეობის № 4 ...რიგადას, რომელსაც გამოც- ...ილი კოლმეურნე სიმონ ბუ- ...ლო ხელმძღვანელობს, სი- ...ის მოყვანის კარგი გამო- ...ება აქვს. გასულ წელს ...იგადამ 50 ჰექტარზე დათე- ... სიმინდი კვადრატულ-ბუ- ...რივად, მჭიდრო აგროტექ- ...ურ ვადებში ჩაატარა ყვე- ... სახის სამუშაოები და თვი- ... ჰექტარზე 24 ცენტნერი ... მოყვანა უზრუნველ- ..., ხოლო ცალკეულ ჰექტა- ...ზე 26 ცენტნერი მიიღო.

...ოლიური კომუნისტური ...რტიის დავალებათა პირნათ- ... განაღდებისათვის მეოთხე ...რიგადის მთლიანი შემადგენ- ...ობა ახლა წარმატებით ემ- ...ება სიმინდის სათესი ფარ- ... და მოსავლიანობის ...დიდებისათვის. წელს 70 ...ჰექტარზე დათესავენ სიმინდს, რისთვისაც გასული წლის შემოდგომაზევე მოამზადეს მძრალები და ადრე გაზაფხულზე გადახნეს, მოამზადეს საკმაო რაოდენობის კარგი ხარისხის თესლი და გამომინდვრებისთანავე შეუდგებიან თესვას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ყველაფერი რიგზე არა აქვთ. სახელდობრ, რგოლებმა დღემდე არ იციან თუ რამდენი ჰექტარი ნაკვეთი აქვთ მიმაგრებული, რა წესით უნდა აწარმოონ სიმინდის თესვა და სხვ.

გარდა ამისა, მემინდვრეობის ბრიგადას მომსახურებას უწევს ქედის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ნ. კობაიძე ხელმძღვანელობს. მექანიზატორებს სამუშაო მდგომარეობაში აქვთ ყველა ტრაქტორი, მაგრამ კვადრატულ-ბუდობრივი სათესი მხოლოდ ერთი აქვთ. თუ ვიანგარიშებთ, რომ ბრიგადა სიმინდის გარდა წელს მზესუმზირას კვადრატულ-ბუდობრივად 125 ჰექტარზე დათესავს და ამასთან 1 სათესის დღიური მწარმოებლობა 8-10 ჰექტარია, გამოდის, რომ ბრიგადა სიმინდისა და მზესუმზირას თესვას სულ ცოტა 20 დღე მოუნდება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ამინდი მუშაობის საშუალებას არ იძლევა, საგაზაფხულო თესვის აგროტექნიკურ ვადებში ჩატარება საფრთხის წინაშეა. ამიტომ თესვისათვის ისე უნდა მოვემზადოთ, რომ ხელიდან არ გავუშვათ არცერთი საათი. უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება, ნაწილ ფართობზე კვადრატულ-ბუდობრივი თესვა უნდა ჩავატაროთ ხელით, რისთვისაც საჭიროა კარგად მომზადება.

საჭიროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ შემჩნეული ნაკლოვანებები და მივაღწიოთ სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანას.

## ვარლამ ფილიპოვის ბრიგადაში

...შემოქმედელი კოლმეურნე ...ლამ ფილიპოვი თითქმის ...0 წელია ხელმძღვანელობს ...ლმეურნეობის მემინდვრეობის ...მეოთხე ბრიგადას. მას სა...ფლო-სამეურნეო კულტურე...ბის მაღალი მოსავლის მოყვა...ნის დიდი გამოცდილება აქვს, ...მიტომ მოსალოდნელი იყო, ...რომ გაითვალისწინებდა გასუ...ლი წლის შეცდომებს და სანი...მუშოდ მოემზადებოდა მიმდი...ნარე საგაზაფხულო თესვისა...თვის, მაგრამ ეს ასე არ მოხ...და.

...წელს ეს ბრიგადა 270-მდე ჰექტარზე დათესავს მზესუმზირასა და სიმინდს, რისთვისაც შემოდგომიდანვე მოამზადა მძრალები, მაგრამ ვერ გამოიყენა რა ადრე გაზაფხულზე ამინდის ხელსაყრელი პირობები, დღემდე ნაკვეთების თესვისწინა დამუშავება არ ჩაუტარებია.

როგორც წესი გაზაფხულის თესვის დაწყებამდე მემინდვრეობის ბრიგადებსა და რგოლებს აქტით უნდა ემაგრებოდეთ საწარმოო ნაკვეთები, მაგრამ ფილიპოვის ბრიგადაში ეს სამუშაო ჯერ არ ჩაუტარებიათ.

ბრიგადამ დროულად უნდა გამოასწოროს შემჩნეული ნაკლი, ყველა რგოლს გაუპიროვნოს ნაკვეთი, ჩააბაროს აქტით, გაარკვიოს მერგოლეები თუ რომელ ნაკვეთებზე რა კულტურა და რა წესით დაითესება, გააცნოს მათ მოსავლიანობის გეგმიური დავალება და იბრძოლოს მისი შესრულებისათვის.

**გ. გოჩიტაშვილი,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

აგრონომის საუბარი

## მინერალური სასუქებით ჯეჯილების ზედაპირული განოყიერების მოქმედება საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის გადიდებაზე

აკადემიკოსი ვილიამსი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მიუთითებდა, რომ საჭიროა არა მარტო ნიადაგის გაპოხიერება, არამედ მცენარის გამოკვებაც, რომლის დროსაც მიღწეული იქნება სასუქის დადებითი გავლენა მოსავლიანობის ზრდაზე.

მცენარეთა კვების ამ გზას დაადგნენ სოციალისტური მიწათმოქმედების მოწინავე მუშაკები და ფართოდ გამოიყენეს პრაქტიკაში მცენარის დამატებითი გამოკვება ვეგეტაციის პერიოდში.

კიროვის ოლქის ორუჩევსკის რაიონში საშემოდგომო ხორბლის გამოკვება ჩაატარეს 7 ჰექტარ ფართობზე და ჩვეულებრივ ნათესებთან შედარებით თვითეულ ჰექტარზე 7,9 ცენტნერით მეტი მოსავალი მიიღეს; ვლადიმირსკის ოლქის პოდოლსკოვის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკში" ჯეჯილის დამატებითი გამოკვებისათვის ფართოდ გამოიყენეს სულფატამონიუმი და სუპერფოსფატი, რის შედეგადაც საშემოდგომო ხორბლის მოსავალი თვითეულ ჰექტარზე 8,1 ცენტნერით გაიზარდა და ა. შ.

შირაქის ველის ურწყავ პირობებში 1952-1953 წლებში კახეთის საცდელი სადგურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ცდებიც ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ჯეჯილების დამატებით გამოკვებისას საშემოდგომო ხორბლის მოსავლის მატებამ ჰექტარზე 1,9—2 ცენტნერამდე შეადგინა.

მოყვანილი მაგალითებიდან ნათელი ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მინერალურ სასუქებს, ამიტომ ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჯეჯილების დამატებითი გამოკვება.

უნდა ვიცოდეთ, რომ ნათესების ზედაპირული განოყიერების დროს სასუქების ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობაა საჭირო, ვიდრე ძირითადი განოყიერების დ რ ო ს, განსაკუთრებით აზოტოვანი სასუქები, რომელიც 3-ჯერ ნაკლები რაოდენობითაა საჭირო ზედაპირული გამოკვებისას.

ჯეჯილების გამოკვება უნდა მოვახდინოთ ადრე გაზაფხულზე, როცა ნიადაგი ჯერ კიდევ გაყინულია. აზოტოვანი და ფოსფოროვანი სასუქების შეტანა უნდა მოვახდინოთ დილის საათებში, რადგან სასუქი ყინვის დნობის დროს წყალს ნიადაგში ჩააქვს და მცენარის ფესვები ადვილად ითვისებენ მას. ნიადაგის გაშრობის თავიდან ასაცილებლად სასუქების შეტანის შემდეგ უნდა ჩავატაროთ ფ ა რ ც ხ ვ ა ზიგზაგიანი ფარცხით.

საშემოდგომო ხორბლის ჯეჯილების დამატებითი გამოკვება უფრო მეტ ეფექტს იძლევა მაშინ, თუ მას მოვახდენთ შემოდგომით და გაზაფხულზე, რადგან ურწყავ ნიადაგებზე მარტო გაზაფხულობით გამოკვება სრულყოფილ შედეგს ვერ იძლევა.

საჭიროა ყველა კოლმეურნეობაში ფართოდ გამოვიყენოთ დამატებით გამოკვება, რითაც მნიშვნელოვნად გავადიდებთ ხორბლის მოსავლიანობას.

**ძ. კობახიძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

## მეცნიერების ახალი აყვავებისათვის

**(საუბარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილთან)**

...საბჭოთა კავშირის კომუნი...სტური პარტიის XX ყრილო...მა საბჭოთა მეცნიერების წი...ნაშე დიდი და პასუხსაგები ...ამოცანები დასახა. კომუნის...ტური მშენებლობის პრაქტი...კული ამოცანების გადაჭრაში ...მეცნიერებამ სულ უფრო მზარ...დი როლი უნდა შეასრულოს. ...მეექვსე ხუთწლედი, როგორც ...ყრილობის დირექტივებშია ნა...თქვამი, უნდა გახდეს საბჭოთა ...ქვეყნის მწარმოებლური ძალე...ბის შემდგომი მძლავრი განვი...თარების ხუთწლედი. ეს საბ...ჭოთა მეცნიერთაგან მოითხოვს ...დაძაბულ, შემოქმედებითს ...შრომას. საბჭოთა მეცნიერე...ბის შემოქმედებითს შრომაში ...ღირსეული წვლილი შეაქვთ ...საქართველოს მეცნიერებსაც, ...რომლებიც ყოველდღიურად ...გრძნობენ პარტიისა და მთავ...რობის დაუცხრომელ ზრუნვას ...ჩვენი მეცნიერებისათვის. ამ ...ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა, რომელსაც წელს 15 წელი შეუსრულდა.

ამ შედარებით მოკლე ვადაში ჩვენი აკადემია გადაიქცა დიდ სამეცნიერო ცენტრად, რესპუბლიკის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ დაწესებულებად. ახლა იგი აერთიანებს 28 ინსტიტუტსა და ბევრ სხვა სამეცნიერო - საკვლევ დაწესებულებას. შარშან გამართული არჩევნების შედეგად ნამდვილ წ ე ვ რ თ ა და წევრ-კორესპონდენტთა რაოდენობა 80-ს აღწევს. ეს თითქმის ხუთჯერ მეტია აკადემიის პირვანდელ შემადგენლობაზე.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მეცნიერებმა გადაჭრეს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებასთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების საპასუხოდ ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებში ფართოდ გაჩაღდა მუშაობა მრეწველობაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის, ახალი ტექნიკის შექმნისა და მოწინავე ტექნოლოგიის შემუშავებისათვის.

ჭიათურის მარგანეცის ლარიბი მადნების ღრმად შესწავლის საფუძველზე ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტმა ფართო ლაბორატორიული, ხოლო შემდეგ საქარხნო კვლევაც შეასრულა ჩვენი ქვეყნის უდიდეს მეტალურგიულ ქარხნებში, აგრეთვე გარდაქმნილი თუჯისა და საბრძმედე ფერომარგანეცის წარმოებაში ჭიათურის მარგანეცის მადნების დანერგვისათვის.

ენერგეტიკის ინსტიტუტში შემუშავდა ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების სქემა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის. შესწავლილია რესპუბლიკის ქალაქების ჩრდილოეთ კავკასიის საბადოების ბუნებრივი გაზით მომარაგების საკითხი. შემუშავებულია საირიგაციო სისტემის ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის მეთოდი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მათს გამოყენებას.

სამშენებლო საქმის ინსტიტუტი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი შეუდგა მსუბუქი რკინაბეტონისაგან გარსების კონსტრუქციების შემუშავებას. ამ მუშაობის შედეგები უკვე დანერგილია მშენებლობაში და ცხადყვეს თავიანთი დიდი ეფექტიანობა.

წლითიწლობით სულ უფრო ნაყოფიერი ხდება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტების მუშაობა. ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების დადგენილებებით, მათ მნიშვნელოვნად განაახლეს თავიანთი სამეცნიერო თემატიკა, უფრო მჭიდროდ დაუკავშირეს იგი ამოცანებს, რომლებიც დასახულია ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე. წარმოებს მუშაობა მარცვლეულის, ტექნიკური და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზის შექმნისათვის, სწავლობენ რესპუბლიკის მცენარეულობის რესურსებს იმ მიზნით, რომ ისინი სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის გამოვიყენოთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია, რომ საჭიროა შემდგომ გაფართოვდეს მეცნიერული მუშაობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. იმისათვის, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა, თუ როგორ ფართოვდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში, საკმაოა ითქვას, რომ თუ 1952 წელს ამ მიმართულებით საქართველოში სულ 3 დაწე-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე).